**ანგარიში**

**თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის**

**2011 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ**

წინამდებარე ანგარიში „თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის 2011 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ“ შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ქალაქ ქუთაისის 2011 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2010 წლის 15 დეკემბერს, ქალაქ ქუთაისის საკრებულოს N57 დადგენილებით. შემოსულობებისა და გადასახდელების ოდენობა განისაზღვრა 35556,0 ათასი ლარით. 2011 წლის 12 თვის განმავლობაში მასში შეტანილ იქნა 28 ცვლილება და დაზუსტდა 56951,8 ათასი ლარის ოდენობით.

2011 წლის ბიუჯეტი მოიცავს 2011-2014 წლების ქალაქის განვითარების საშუალოვადიანი გეგმის საანგარიშო პერიოდის პრიორიტეტებს, როგორიცაა: ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარება, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესება, მცირე ბიზნესისა და დასაქმების ხელშეწყობა, ეკოლოგიური და საზოგადოებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნა, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა.

თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის 2011 წლის ბიუჯეტში გამოკვეთილია პროგრამული ბიუჯეტის კონტურები, რომელიც ითვალისწინებს, რომ ბიუჯეტი დაგეგმვის პროცესიდანვე იყოს ორიენტირებული შედეგებზე. მასში ნათელია მიზეზ-შედეგობრივი კავშირი კონკრეტულ ღონისძიებებში ჩადებულ ფინანსურ რესურსებსა და მიღებულ შედეგებს შორის.




თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის 2011 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში საბიუჯეტო კლასიფიკატორის მიხედვით მოიცავს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 87-ე მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციას, კერძოდ ქალაქ ქუთაისის ბიუჯეტის ბალანსს, შემოსულობებისა და გადასახდელების (პროგრამებისა და ღონისძიებების მიხედვით) შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან და წინა წლის პერიოდთან, წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში მხარჯავი დაწესებულებების მიერ განხორციელებული პროგრამების, ქვეპროგრამების აღწერას და მიღწეულ შედეგებს.

ბიუჯეტის შესრულების ძირითადი მაჩვენებლები წარმოდგენილია ბალანსის სახით:

## ქალაქ ქუთაისის 2011 წლის ბიუჯეტის ბალანსი

| დასახელება | 2011 წლის დამტკიცებული გეგმა | *2011 წლის დაზუსტებული გეგმა* | 2011 წლის ფაქტი |
|---|---|---|---|
| შემოსავლები | 33,056.0 | 42,865.5 | 44,830.6 |
| გადასახადები | 4110.0 | 4,757.0 | 5,041.9 |
| გრანტები | 24318.6 | 30,521.6 | 30,456.6 |
| სხვა შემოსავლები | 4627.4 | 7,586.9 | 9,332.1 |
| | | | |
| ხარჯები | 33,467.5 | 33,716.1 | 30,877.8 |
| შრომის ანაზღაურება | 4247.3 | 4,206.6 | 4,104.3 |
| საქონელი და მომსახურება | 4599.9 | 4,354.4 | 3,913.7 |
| პროცენტი | 442 | 442.0 | 441.9 |
| სუბსიდიები | 20854.7 | 21,364.3 | 19,203.8 |
| გრანტები | 1500 | 1,500.0 | 1,500.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 1823.6 | 1,848.8 | 1,714.1 |
| სხვა ხარჯები | | | 0.0 |
| | | | |
| საოპერაციო სალდო | -411.5 | 9,149.4 | 13,952.8 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | -1,351.5 | 18,540.7 | 12,307.2 |
| ზრდა | 1148.5 | 22,328.9 | 16,338.6 |
| კლება | 2500 | 3,788.2 | 4,031.4 |
| | | | |
| მთლიანი სალდო | 940.0 | -9,391.3 | 1,645.6 |
| | | | |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | 0.0 | -10,298.1 | -10,453.2 |
| ზრდა | | 0.0 | 0.0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | | | |
| სესხები | | | |
| აქციები და სხვა კაპიტალი | | | |
| სხვა დებიტორული დავალიანებები | | | |
| კლება | | 10,298.1 | 10,453.2 |
| ვალუტა და დეპოზიტები | | | |
| სესხები | | | |
| აქციები და სხვა კაპიტალი | | 10,298.1 | 10,453.2 |
| სხვა დებიტორული დავალიანებები | | | |
| | | | |
| ვალდებულებების ცვლილება | -940.0 | -906.8 | -793.7 |
| ზრდა | | 0.0 | 0.0 |
| საშინაო | | | |
| საგარეო | | | |
| კლება | 940.0 | 906.8 | 793.7 |
| საშინაო | 940 | 906.8 | 793.7 |
| საგარეო | | | |
| | | | |
| ბალანსი | 0.0 | 0.0 | 11,305.1 |

ქალაქ ქუთაისის 2011 წლის ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებული წლიური მაჩვენებელი განისაზღვრა 56951,8 ათასი ლარის ოდენობით, ფაქტიურმა შესრულებამ 59315,2 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 104,1%, მათ შორის 10453,2 ათასი ლარი შეადგენს ფინანსურ აქტივს.( 2010 წლის ბოლოს ბიუჯეტის ერთიან ანგარიშზე დარჩენილმა ნაშთმა შეადგინა 10298,1 ათასი ლარი, აქედან 2011 წლის იანვარში 30,5 ათასი ლარი დაბრუნდა სახელმწიფო ბიუჯეტში, დარჩენილ 10267,6 ათას ლარს დაემატა წინა წელს მიღებული და გამოუყენებელი სახსრები 0,5 ათასი ლარი და 185,1 ათასი ლარი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას საანგარიშო პერიოდის ბოლოს ბიუჯეტის ერთიან ანგარიშზე დაფიქსირებულ თანხასა და ცენტრალური ხაზინის მიერ აღრიცხულ სახსრებს შორის.

- შემოსავლები შესრულდა 104,6 პროცენტით (გეგმა გადაჭარბებულია 1965,1 ათასი ლარით);
- არაფინანსური აქტივები შესრულდა 106,4 პროცენტით (გეგმა გადაჭარბებულია 243,2 ათასი ლარით);
- ფინანსურმა აქტივებმა 2011 წლის ბოლოს შეადგინა 11305,1 ათასი ლარი

**სახეობების მიხედვით ფაქტიური შემოსულობების ხვედრითი წილი შემდეგია:**

| შემოსულობები | ათასი ლარი | შემოსულობის % |
|---|---|---|
| შემოსავლები | 44830.6 | 75.6 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 4031.4 | 6.8 |
| ფინანსური აქტივები | 10453.2 | 17.6 |
| სულ | **59315.2** | **100.0** |

**2011 წლის მანძილზე მობილიზებული შემოსავლების სტრუქტურა და მისი შესრულების მონაცემები**



როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2011 წელს ქუთაისის ბიუჯეტში მობილიზებულ შემოსავლებს შორის, ქვეყანაში არსებული ფისკალური პოლიტიკისა და საბიუჯეტო სისტემიდან გამომდინარე (რაც ითვალისწინებს ადგილობრივი ბიუჯეტების გრანტულ დაფინანსებას გათანაბრებითი, მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერების სახით) ყველაზე დიდი წილი 68% გრანტებზე მოდის, გადასახადებიდან მიღებულია 11%, ხოლო სხვა შემოსავლების წილი მთლიან შემოსავლებში 21%-ს შეადგენს.

**გადასახადები:**

ქალაქ ქუთაისის 2011 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) დაზუსტებული გეგმა 4757,0 ათასი ლარი, ფაქტობრივად 5041,9 ათასი ლარით შესრულდა, რაც გეგმის 106%–ია . წინა წელთან შედარებით (ფაქტი – 9126,6 ათასი ლარი), 4084,7 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული, რაც გამოწვეულია 2010 წელს ავტოქარხნის გაყიდვის შემდეგ მყიდველის მიერ, წინა წლებში ქონების გადასახადის სახით დაგროვილი დავალიანების ერთჯერადი გადახდით.

წლის განმავლობაში ქონების გადასახადიდან ადგილობრივ ბიუჯეტში ფაქტობრივად მიღებულია 5036,2 ათასი ლარის შემოსავალი, გეგმა – 4757,0 ათასი ლარი – შესრულებულია 105,9%-ით, მათ შორის: საწარმოთა და ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადიდან მიღებულია 3888,2 ათასი ლარი, გეგმის (3777,0 ათასი ლარი) 102,9%, გეგმა გადაჭარბებულია 111,2 ათასი ლარით (წინა წლის ფაქტობრივი შემოსავალი – 4531,8 ათასი ლარი). მიწის გადასახადიდან მიღებულია 1145,9 ათასი ლარი, გეგმის (980,0 ათასი ლარი) 116,9% . სხვა გადასახადები ქონებაზე შეადგენს 2,1 ათას ლარს. ამასთან, სხვა გადასახადების სახით ბიუჯეტმა დამატებით 5,7 ათასი ლარის შემოსავალი მიიღო.

**2011 წლის ბიუჯეტში მობილიზებული ქონების გადასახადი (ათასი ლარი)**

| ქონების გადასახადი | 2011 წლის გეგმა | 2011 წლის ფაქტი | შესრულების % |
|---|---|---|---|
| საწარმოთა ქონებაზე გადასახადი | 3627.0 | 3715.4 | 102.4 |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი | 150.0 | 172.8 | 115.2 |
| მიწაზე ქონების გადასახადი | 980.0 | 1145.9 | 116.9 |
| სხვა გადასახადები ქონებაზე | | 2.1 | |
| სულ | 4757.0 | 5036.2 | 105.9 |

**2011-2010 წლებში მიღებული ქონების გადასახადი (ათასი ლარი)**




**გრანტები:**

2011 წელს გრანტების სახით ქალაქის ბიუჯეტში ჩარიცხულია 30456,6 ათასი ლარი, მათ შორის: გათანაბრებითი ტრანსფერიდან – 24108,6 ათასი ლარი; მიზნობრივი ტრანსფერიდან – 145,0 ათასი ლარი; სპეციალური ტრანსფერიდან - 6203,0 ათასი ლარი, მათ შორის: რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან – 5750,0 ათასი ლარი; პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ფინანსური დახმარება – 243,0 ათასი ლარი; რაიონებიდან გადმორიცხული გრანტი –210,0 ათასი ლარი.

**2011 წელს მიღებული გრანტების სტრუქტურა (ათასი ლარი)**



**სხვა შემოსავლები:**

2011 წლის დაზუსტებული გეგმით განსაზღვრული 7586,9 ათასი ლარის ფაქტობრივმა შესრულებამ 9332,1 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 123%-ია, მათ შორის:

| დასახელება | 2011 წლის გეგმა | 2011 წლის ფაქტი | % |
|---|---|---|---|
| სხვა შემოსავლები | **7586.9** | **9332.1** | **123.0** |
| შემოსავლები საკუთრებიდან | **1079.0** | **1190.7** | **110.4** |
| **პროცენტი** | 900.0 | 980.0 | 108.9 |
| **დივიდენდები** | 17.0 | 17.5 | 102.9 |
| **რენტა** | 162.0 | 193.2 | 119.3 |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი | 69.0 | 86.7 | 125.7 |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 93.0 | 106.5 | 114.5 |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | **3172.9** | **3793.4** | **119.6** |
| **ადგილობრივი მოსაკრებლები და გადასახდელები** | 2772.9 | 3264.5 | 117.7 |
| მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე | 33.0 | 38.3 | 116.1 |
| სახელმწიფო ბაჟი | | | |
| საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი | 0.9 | 0.1 | 11.1 |
| ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი | | | |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | 9.0 | 10.8 | 120.0 |
| სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი | 1790.0 | 2085.7 | 116.5 |
| მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 940.0 | 1110.7 | 118.2 |
| მოსაკრებელი სპეციალური ზონალური შეთანხმების გაცემისათვის | | | |
| სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი | | 18.9 | |
| **შემოსავლები მომსახურების გაწევიდან** | 400.0 | 528.9 | 132.2 |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | **1445.0** | **2255.2** | **156.1** |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | **1890.0** | **2092.8** | **110.7** |

სხვა შემოსავლების კუთხით 2010 წელთან შედარებით 2011 წელს დამატებით 3775,4 ათასი ლარის შემოსავალია მიღებული.




**პროცენტების** სახით მიღებულია 980.0 ათასი ლარის შემოსავალი, რაც გეგმაზე (900.0 ათასი ლარი) 80.0 ათასი ლარით მეტია.

**რენტის** სახით ბიუჯეტში შემოსულია 193,2 ათასი ლარი, აქედან:

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან** – 86,7 ათასი ლარი. წლიური დაზუსტებული გეგმა (69,0 ათასი ლარი) შესრულებულია 125,7%–ით;

**მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან** – 106,5 ათასი ლარი, რაც გეგმის (93,0 ათასი ლარის) 114,5%-ია.

**ადგილობრივი მოსაკრებლიდან მშენებლობის ნებართვაზე (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა)** მიღებულია 38,3 ათასი ლარი, გეგმის (33,0 ათასი ლარის) 116,1%.

**სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან** მიღებულია 2085,7 ათასი ლარი, წლიური გეგმის (1790,0 ათასი ლარი) 116,5%. წლიური გეგმა გადაჭარბებულია 295,7 ათასი ლარით და წინა წელთან (1604,1 ათასი ლარი) შედარებით მიღებულია 481,6 ათასი ლარით მეტი. სახეების მიხედვით თანხები შემდეგნაირად განაწილდა:

სათამაშო აპარატებიდან ბიუჯეტში შემოსულია – 1865,5 ათასი ლარი, გეგმა –1600,0 ათასი ლარი (116,6%), ტოტალიზატორებიდან, ბინგოებიდან და ლოტოებიდან – 199,8 ათასი ლარი, გეგმა –190,0 ათასი ლარი (105,2%), სხვა არაკლასიფიცირებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის სახით ბიუჯეტში შემოსულია 20,4 ათასი ლარი.




**სამხედრო–სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლიდან** ფაქტობრივად 10,8 ათასი ლარი შემოვიდა, გეგმა შეადგენს 9,0 ათას ლარს (120%).

**დასუფთავების მოსაკრებლის** კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქ ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის დასუფთავების განყოფილების გეგმაზომიერი და ნაყოფიერი მუშაობის შედეგად მოსახლეობიდან და იურიდიული პირებიდან ბიუჯეტში ჩარიცხულია 1110,7 ათასი ლარი, გეგმის (940,0 ათასი ლარი) 118,2%. გეგმა 170,7 ათასი ლარის გადაჭარბებითაა შესრულებული, ხოლო წინა წელთან (978,1 ათასი ლარი) შედარებით 132,6 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

**მომსახურების გაწევიდან** მთლიანობაში მიღებულია 528,9 ათასი ლარი, გეგმა –400,0 ათასი ლარი (132,2%). წინა წელთან შედარებით (2010 წლის ფაქტი – 464,4 ათასი ლარი) 64,5 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

**ჯარიმებიდან და საურავებიდან** მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 2255,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიურ გეგმაზე (1445,0 ათასი ლარი) – 810,2 ათასი ლარით მეტია. გეგმა შესრულებულია 156,1%–ით.

**შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლის** სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 2092,8 ათასი ლარის შემოსავალი. აქედან: ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვიდან მიღებულია 316,5 ათასი ლარი, რაც გეგმის (250,0 ათასი ლარი) 126,6%–ია, ბიუჯეტში ჩარიცხულია გეგმაზე 66,5 ათასი ლარით მეტი შემოსავალი, რაც ქალაქ ქუთაისის მერიის ტრანსპორტის სამსახურის ეფექტური მუშაობის შედეგია. სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლიდან 1776,3 ათასი ლარია მიღებული.

**არაფინანსური აქტივები:**

ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულია 4031,4 ათასი ლარი, გეგმის (3788,2 ათასი ლარი) 106,4%. აქედან, 3836,6 ათასი ლარი – ძირითადი აქტივების გაყიდვიდან, ხოლო 194,8 ათასი ლარი - მიწის გაყიდვიდან. გასულ წელთან შედარებით (2242,0 ათასი ლარი) 1789,4 ათასი ლარით მეტია შემოსული.

| დასახელება | 2011 წელი | | |
|---|---|---|---|
| | გეგმა | ფაქტი | % |
| **არაფინანსური აქტივები** | 3788.2 | 4031.4 | 106.4 |
| შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან | 3598.2 | 3836.6 | 106.6 |
| შემოსულობა არაწარმოებული აქტივების (მიწის )გაყიდვიდან | 190.0 | 194.8 | 102.5 |

**ფინანსური აქტივები:**

წლის დასაწყისში დებიტორული დავალიანებების (წინა წელს მიღებული და გამოუყენებელი) სახით, 2010 წლის ბოლოს ბიუჯეტის ერთიან ანგარიშზე ირიცხებოდა 10298,1 ათასი ლარი, ხოლო 2011 წლის დასაწყისში - 10267,6 ათასი ლარი (30,5 ათასი ლარის გამოკლებით, რომელიც იანვრის თვეში დაბრუნდა სახელმწიფო ბიუჯეტში), წლის განმავლობაში განხორციელებული ფინანსური ოპერაციების შედეგად, 2011 წლის ბოლოს, ფინანსური აქტივების ნაშთმა შეადგინა 11305,1 ათასი ლარი.

**ვალდებულებები**

აღებული ვალდებულებების დასაფინანსებლად 2011 წლის ბიუჯეტში წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 906,8 ათასი ლარის ოდენობით, აქედან:

ქალაქ ქუთაისის მერიასა და მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, 2011 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნა ქალაქ ქუთაისში 2004–2005 წლებში განხორციელებული პროექტებისათვის აღებული ვალდებულების დასაფინანსებლად 740,0 ათასი ლარი.

წინა პერიოდში შეუსრულებელი ვალდებულებების დასაფარავად და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილია 94,0 ათასი ლარი.

ქალაქ ქუთაისის მერიასა და სს ,,ქუთაისის ტროლეიბუსების საწარმოს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, თვითმმართველობამ აიღო ვალდებულება 17,0 ათასი ლარის ოდენობით.

თვითმმართველი ქალაქის– ქუთაისის საკრებულოსა და შპს ,,შვრიას“ შორის 2008 წლის 7 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ადგილობრივ თვითმმართველობას უსასყიდლოდ გადმოეცა ქალაქ ქუთაისის ფოთის ქუჩის N38–ში მდებარე უძრავი ქონება, თანასაკუთრებაში არსებულ მიწასთან ერთად, ხოლო თვითმმართველობამ აიღო ვალდებულება დაფაროს შპს ,,შვრიას“ სახელზე არსებული დავალიანება (ქონებისა და მიწის გადასახადები) 12,3 ათასი ლარის ოდენობით.

ააიპ ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებისა და ააიპ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის საგადასახადო ვალდებულების დასაფარავად 2011 წლის ბიუჯეტიდან გამოიყო თანხა 43,5 ათასი ლარის ოდენობით.

2011 წელს ზემოაღნიშნული ვალდებულებების დასაფარავად ბიუჯეტიდან გადარიცხულია 793,7 ათასი ლარი.

**პროცენტები:**

2011 წლის ბიუჯეტში, პროცენტების სახით გამოყოფილია 442,0 ათასი ლარი, რომელიც მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის გადასახდელი სესხის ძირითად თანხაზე (740,0 ათასი ლარი) დარიცხული პროცენტია. წლის მანძილზე გადახდილი პროცენტის სახით გაწეულია 441,9 ათასი ლარის საკასო ხარჯი.

გადასახდელები:

2011 წლის ბიუჯეტის გადასახდელების გეგმური მაჩვენებელი განისაზღვრა 56951,8 ათასი ლარის ოდენობით, გადახდაზე აღებულმა ვალდებულებებმა 48069,4 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო საკასო შესრულებამ 48010,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 84,3%-ია. ბიუჯეტის შესრულების შედარებით დაბალი პროცენტი ძირითადად გამოწვეულია ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გაფორმებული ხელშეკრულებების ვადაზე ადრე შეწყვეტით, რამაც თავის მხრივ გამოიწვია ტენდერების განმეორებით ჩატარება და აუთვისებელი თანხების მომდევნო წლის ბიუჯეტში გადატანა.

### 2011 წლის გადასახდელების შესრულება ეკონომიკური კლასიფიკაციით

| დასახელება | 2011 წელი | | | |
|---|---|---|---|---|
| | გეგმა | საკასო შესრულება | შესრულების % | შენიშვნა |
| ხარჯები | 33716.1 | 30877.8 | 91.6 | |
| შრომის ანაზღაურება | 4206.6 | 4104.2 | 97.6 | |
| საქონელი და მომსახურება | 4354.4 | 3913.8 | 89.9 | |
| პროცენტი | 442.0 | 441.9 | 100.0 | |
| სუბსიდიები | 21364.3 | 19203.8 | 89.9 | |
| გრანტები | 1500.0 | 1500.0 | 100.0 | |
| სოციალური უზრუნველყოფა | 1848.8 | 1714.1 | 92.7 | |
| სხვა ხარჯები | | | | |
| არაფინანსური აქტივები | 22328.9 | 16338.6 | 73.2 | |
| ფინანსური აქტივები | | | | |
| ვალდებულებები | 906.8 | 793.7 | 87.5 | |
| **სულ გადასახდელები** | **56951.8** | **48010.1** | **84.3** | |

ხარჯები და არაფინანსური აქტივები შესრულდა 84,2 პროცენტით და შეადგინა 47216,4 ათასი ლარი, რაც ფუნქციონალური კლასიფიკატორის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:




ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით 2011 წლის ბიუჯეტის საერთო გადასახდელების საკასო ხარჯმა შეადგინა 48010,1 ათასი ლარი. მათ შორის:

| დასახელება | 2011 წელი | | |
|---|---|---|---|
| | დაზუსტებული გეგმა | საკასო შესრულება | შესრულების % |
| **საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება** | **9076.8** | **8609.9** | **94.9** |
| მმართველობა | 5468.6 | 5272.1 | 96.4 |
| სარეზერვო ფონდი | 400.0 | 292.9 | 73.2 |
| პარლამენტის მაჟორიტარი წევრის ბიურო N59 საარჩევნო ოლქში | 40.0 | 39.9 | 99.8 |
| კრედიტის(საბიუჯეტო სესხის) დაფარვა | 1182.0 | 1117.9 | 94.6 |
| შესყიდვებთან დაკავშირებული ხარჯები | 25.0 | 25.0 | 100.0 |
| წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა | 94.0 | 88.4 | 94.0 |
| ბანკის მომსახურების ხარჯები | 24.0 | 22.3 | 92.9 |
| საფოსტო მომსახურების ხარჯები | 10.0 | | 0.0 |
| აუდიტორული მომსახურების ხარჯები | 4.0 | 4.0 | 100.0 |
| რეგიონალური განვითარების პროექტების ფონდის შევსება | 1500.0 | 1500.0 | 100.0 |
| ქალაქ ქუთაისის თვითმმართველობის მიერ აღებული ვალდებულების დაფარვა | 72.8 | 29.3 | 40.2 |
| მერიის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება -გადამზადების პროგრამა | 23.4 | 22.1 | 94.4 |
| საქართველოს პრეზიდენტის 23/12/2011 წლის N23/12/03 განკარგულების შესაბამისად ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით დაგეგმილი ღონისძიებების უზრუნველსაყოფად | 233.0 | 196.0 | 84.1 |
| **საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება** | **1921.6** | **1776.5** | **92.4** |
| საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური | 1175.3 | 1095.2 | 93.2 |
| შსს იმერეთის სამხარეო პოლიცია | 628.0 | 626.7 | 99.8 |
| კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი | 46.3 | 46.1 | 99.6 |
| საპატრულო პოლიცია | 72.0 | 8.5 | 11.8 |
| **ეკონომიკა** | **3328.0** | **2875.9** | **86.4** |
| სასამართლო საექსპერტო მომსახურების ხარჯები | 50.0 | 34.4 | 68.8 |
| თვითმმართველი ერთეულის ქონების რეგისტრაციის მოსამზადებელი სამუშაოები | 15.0 | | 0.0 |
| ქალაქის სტრატეგიული განვითარების გეგმა | 46.1 | | 0.0 |
| მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა | 50.0 | 35.3 | 70.6 |
| ტურიზმის განვითარების პროგრამა | 48.0 | 34.0 | 70.8 |
| ქუთაისში არსებული (თეთრი, წითელი და ჯაჭვის) ხიდების კაპიტალურად შეკეთების სამუშაოების პროგრამა | 334.0 | 226.5 | 67.8 |
| ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობა-რეკონსტრუქცია | 2784.9 | 2545.7 | 91.4 |
| **გარემოს დაცვა** | **3643.0** | **3259.9** | **89.5** |
| დასუფთავების ღონისძიებები | 3386.0 | 3065.3 | 90.5 |
| პროფილაქტიკურ-სადეზინფექციო სამუშაოების პროგრამა | 38.0 | 37.6 | 98.9 |
| საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია | 198.8 | 148.2 | 74.5 |
| ქალაქ ქუთაისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ქვეწარმავლებისაგან დასაცავად ტერიტორიული ერთეულების ქიმიური რეპელენტით დამუშავების პროგრამა | 20.2 | 8.8 | 43.6 |
| **საბინაო-კომუნალური მეურნეობა** | **23001.9** | **16025.3** | **69.7** |
| პროგრამა „კორპუსი" | 2326.3 | 1425.6 | 61.3 |
| ახალი წლის კეთილმოწყობითი ღონისძიებების პროგრამა | 163.0 | 81.9 | 50.2 |
| წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | 519.1 | 441.9 | 85.1 |
| გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | 2801.1 | 2436.1 | 87.0 |
| საგზაო ნიშნების დამონტაჟებისა და მაგისტრალების მონიშვნითი სამუშაოები | 178.0 | 135.3 | 76.0 |
| შადრევნების ექსპლუატაცია | 70.0 | 36.9 | 52.7 |
| უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია | 42.0 | 27.7 | 66.0 |
| ქალაქის გამწვანების მოვლა-პატრონობა | 174.0 | 171.5 | 98.6 |
| ღვარსადენების ექსპლუატაციისა და რეაბილიტაციის პროგრამა | 200.0 | 177.7 | 88.9 |
| საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები | 290.0 | 258.0 | 89.0 |
| პანთეონის ტერიტორიის კეთილმოწყობა და მოვლა-პატრონობა | 25.0 | 23.4 | 93.6 |
| ქალაქ ქუთაისში ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობის სარეაბილიტაციო, გარე იერსახისა და შიგა კეთილმოწყობის კაპიტალური სამუშაოები | 124.4 | 120.1 | 96.5 |

| დასახელება | 2011 წელი | | |
|---|---|---|---|
| | დაზუსტებული გეგმა | საკასო შესრულება | შესრულების % |
| ქალაქ ქუთაისში პარლამენტის ახალი შენობის დაპროექტების,მშენებლობის, ექსპერტიზისა და სხვა გადაუდებელი სამუშაოების, აგრეთვე, საქართველოს მთავრობის შენობის დაპროექტებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება | 5148.5 | 5131.1 | 99.7 |
| ქალაქ ქუთაისში ვიდეოკონტროლის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროგრამა | 145.0 | | 0.0 |
| მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობა | 78.9 | 76.3 | 96.7 |
| სასწრაფო სამედიცინო სადგური 03-ის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები | 25.9 | 20.4 | 78.8 |
| ქალაქ ქუთაისის კ. გამსახურდიას ქუჩის №43-ა-ში განთავსებული სამუსიკო კოლეჯის, ო. ჩეჩელაშვილის ქუჩის №22-ში განთავსებული ააიპ. 29-ე ბაგა-ბაღისა და გ. მაისურაძის ქუჩა №5-ში განთავსებული ა.ა.ი.პ. მე-12 ბაგა-ბაღის სახურავების აღსადგენი სამუშაოები | 47.1 | 31.2 | 66.2 |
| ქალაქში სკვერების კეთილმოწყობის პროგრამა | 406.0 | 300.3 | 74.0 |
| საციგურაო მოედნის მოწყობა–მონტაჟის სამუშაოები | 710.0 | 693.9 | 97.7 |
| ზამთრის სეზონთან დაკავშირებული სამუშაოები | 25.0 | 5.0 | 20.0 |
| ქალაქის სხვადასხვა უბანში ხეების გადაბელვის პროგრამა | 30.0 | 8.6 | 28.7 |
| ქალაქის სხვადასხვა უბანში სამისამართე ფირნიშების დამზადება-გაკვრის პროგრამა | 30.0 | | |
| გაუთვალისწინებელი სხვადასხვა კეთილმოწყობითი სამუშაოების პროგრამა | 50.0 | 13.7 | 27.4 |
| მერიის ადმინისტრაციული კორპუსის ერთი ფლიგელისა და მერიის ტერიტორიული ორგანოების მშენებლობა–რეკონსტრუქცია | 894.0 | 386.1 | 43.2 |
| 100 საფეხურიანი კიბის რეაბილიტაციისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობითი სამუშაოების პროგრამა | 81.0 | 78.9 | 97.4 |
| ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის შენობის შეკეთებითი სამუშაოების პროგრამა | 2532.0 | 663.7 | 26.2 |
| ტ. ტაბიძის ქუჩის N3–ში მდებარე, N1 პირველადი ჯანდაცვის შენობის რეაბილიტაციის პროგრამა | 185.0 | 184.8 | 99.9 |
| მრავალსართულიანი შენობების რეაბილიტაციის პროგრამა | 1505.6 | 742.4 | 49.3 |
| ქალაქ ქუთაისში დავით აღმაშენებლის გამზირის გამყოფი ზოლის გამწვანებისა და კეთილმოწყობის პროგრამა | 755.0 | 622.8 | 82.5 |
| ქალაქ ქუთაისში დავით აღმაშენებლის ძეგლის დემონტაჟი–გადატანა–მონტაჟი, რკინიგზის სადგურის წინმდებარე მოედნის კეთილმოწყობის სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები | 160.0 | 135.1 | 84.4 |
| ცენტრალური მოედნის რეაბილიტაცია | 3280.0 | 1594.9 | 48.6 |
| **დასვენება, კულტურა, რელიგია** | **8970.8** | **8795.2** | **98.0** |
| ააიპ ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება | 2651.2 | 2650.3 | 100.0 |
| შპს საკალათბურთო კლუბი ,,ქუთაისი -2010" | 450.0 | 449.9 | 100.0 |
| ოლიმპიური კომიტეტი | 1.6 | 1.5 | 93.8 |
| სპორტული ღონისძიებების პროგრამა | 502.0 | 487.7 | 97.2 |
| ააიპ ქალაქ ქუთაისის ყინულის მოედანი | 160.0 | 149.1 | 93.2 |
| ააიპ ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება | 1670.3 | 1631.1 | 97.7 |
| ი. ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკა | 470.0 | 465.3 | 99.0 |
| ეთნოგრაფიული მუზეუმი | 45.3 | 45.2 | 99.8 |
| სამეფო კომპლექსი „ოქროს ჩარდახი“ | 30.0 | 30.0 | 100.0 |
| თეატრები | 1674.0 | 1655.3 | 98.9 |
| ააიპ ქუთაისის ფოლკლორის ცენტრი _ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი | 310.0 | 310.0 | 100.0 |
| კულტურის ღონისძიებების დაფინანსება | 428.0 | 345.7 | 80.8 |
| ქუთაისის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი | 50.0 | 50.0 | 100.0 |
| ააიპ მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკი | 91.7 | 91.7 | 100.0 |
| საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამა | 125.2 | 122.2 | 97.6 |
| ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება | 240.0 | 238.7 | 99.5 |
| ქუთათელ გაენათელ ეპარქია | 71.5 | 71.5 | 100.0 |
| **განათლება** | **5221.7** | **5006.1** | **95.9** |
| ააიპ ბაგა-ბაღების გაერთიანება | 4656.0 | 4482.5 | 96.3 |
| ბაგა-ბაღების კაპიტალური რემონტი | 300.0 | 282.8 | 94.3 |
| მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე | 84.2 | 84.1 | 99.9 |
| განათლების ღონისძიებების პროგრამა | 131.5 | 110.0 | 83.7 |
| საშუალო ზოგადი განათლება | 50.0 | 46.7 | 93.4 |
| **სოციალური უზრუნველყოფა და ჯანმრთელობის დაცვა** | **1788.0** | **1661.3** | **92.9** |
| საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 116.0 | 101.1 | 87.2 |

| დასახელება | 2011 წელი | | |
|---|---|---|---|
| | დაზუსტებული გეგმა | საკასო შესრულება | შესრულების % |
| მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა | 60.5 | 54.8 | 90.6 |
| სამედიცინო დახმარების პროგრამა | 310.0 | 304.7 | 98.3 |
| სამხედრო ძალებში გასაწვევად მოზარდთა წინასწარი სამედიცინო შემოწმების პროგრამა | 40.0 | 1.6 | 4.0 |
| სამედიცინო დაზღვევის პროგრამა | 96.9 | 88.6 | 91.4 |
| ვეტერანთა სარიტუალო დახმარების პროგრამა | 24.0 | 9.0 | 37.5 |
| მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა | 150.0 | 149.1 | 99.4 |
| მიცვალებულთა დასაფლავების პროგრამა | 30.0 | 15.7 | 52.3 |
| სოციალური ღონისძიებების პროგრამა | 210.6 | 194.6 | 92.4 |
| უფასო მგზავრობის პროგრამა | 97.0 | 93.2 | 96.1 |
| მატერიალური დახმარების პროგრამა | 143.5 | 141.4 | 98.5 |
| უფასო კვების პროგრამა | 490.5 | 489.8 | 99.9 |
| ვეტერანთა ქუთაისის საქალაქო კავშირი | 3.0 | 3.0 | 100.0 |
| სოციალური საცხოვრისის დახმარების პროგრამა | 6.0 | 4.7 | 78.3 |
| საქართველოს პრეზიდენტის N02/08/01 განკარგულების საფუძველზე, კუნძულ უტოიაზე მომხდარი ტერაქტის შედეგად გარდაცვლილის ოჯახისათვის მატერიალერი დახმარება | 10.0 | 10.0 | 100.0 |
| **სულ გადასახდელები** | **56951.8** | **48010.1** | **84.3** |

**ქალაქ ქუთაისის თვითმმართველობის** ხარჯები შეადგენს 5272,1 ათას ლარს, მათ შორის: წარმომადგენლობითი ორგანოს – ქალაქ ქუთაისის **საკრებულოს** ხარჯები – 845,7 ათას ლარს, ხოლო **მერიის სამსახურების ადმინისტრაციული ხარჯები** - 4426,4 ათას ლარს.

**სარეზერვო ფონდიდან** დაგეგმილი 400,0 ათასი ლარიდან გახარჯულია 292,9 ათასი ლარი, მათ შორის: მოქალაქეთა მატერიალური დახმარებისათვის – 202,8 ათასი ლარი; ტრანსპორტით მომსახურებისათვის – 13,5 ათასი ლარი, აქედან: შპს ,,ტრანსპორტი–2008“ – 0,7 ათასი ლარი, შპს ,,შპს“ – 6,0 და „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ – 6,8 ათასი ლარი;

კვებითი მომსახურებიდან დახარჯულია 9,4 ათასი ლარი, მათ შორის: შპს ,,იმპერიალი“ – 0,9 ათასი ლარი, შპს ,,ნია“ – 0,3 ათასი ლარი და ი/მ გიგა მამაგეიშვილი – 2,2 ათასი ლარი, შპს „მწვანე მარკეტი“ – 0,4 ათასი ლარი, ფ/პ „მალხაზ შალამბერიძე“ – 2,0 ათასი ლარი, ი/მ თეიმურაზ გობრონიძე – 3,6 ათასი ლარი;

აგრეთვე სარეზერვო ფონდიდან გაწეულია შემდეგი სახის ხარჯი: საჩუქრების შესაძენად – 1,0 ათასი ლარი (მათ შორის: შპს ,,ელო–07“ –0,8 ათასი ლარი, შპს ,,მორიკა“ – 0,2 ათასი ლარი); სამედიცინო მომსახურების მიზნით – 3,3 ათასი ლარი; სტიქიის შედეგად დაზარალებულების დახმარებისათვის – 39,3 ათასი ლარი; მოსაწვევების დამზადებისათვის (შპს ,,მბმ პოლიგრაფი“) – 0,3 ათასი ლარი; ქართული სამზარეულოს წიგნების შეძენისათვის (,,ბაკურ სულაკაურის“ გამომცემლობა) – 4,2 ათასი ლარი; წიგნის გამოცემისათვის (შპს საგამომცემლო სახლი ,,ინოვაცია“) –1,5 ათასი ლარი; საქართველოს ჭადრაკის ეროვნული ფედერაციის სარეგისტრაციო შესატანისათვის – 0,5 ათასი ლარი; როტერდამიდან ფოთამდე ტვირთის ტრანსპორტირებისათვის (შპს ,,ოკეანეტ ჯორჯია“) – 7,0 ათასი ლარი; ერთიანი ანგარიშისათვის (საშემოსავლო) – 1,8 ათასი ლარი; ი/მ „რობერტ კუბლაშვილისათვის“ – 2,5 ათასი ლარი (ბრეზენტის

ღირებულება); ი/მ მამუკა დანგაძისათვის - 4,0 ათასი ლარი (შეშის ღირებულება); შპს ,,მაგთიკომისათვის“ – 1,8 ათასი ლარი (მაგთიფიქსის USB მოდემის ღირებულება).

**საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოებისათვის** 2011 წელს გათვალისწინებული ხარჯებიდან (გეგმა 1921,6 ათასი ლარი) საგანგებო სიტუაციებისა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებები დაფინანსდა 1095,2 ათასი ლარით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოები – 681,3 ათასი ლარით.

**ეკონომიკური საქმიანობის** დაზუსტებული წლიური გეგმა შეადგენს 3328,0 ათას ლარს, საკასო შესრულება - 2875,9 ათას ლარს, მათ შორის:

**ტურიზმის განვითარების პროგრამა** დაფინანსდა 34,0 ათასი ლარით. პროგრამის მიხედვით შეიქმნა ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი, სადაც დასაქმდა 3 ახალგაზრდა სპეციალისტი, მომზადდა და გამოიცა ქუთაისისა და იმერეთის გზამკვლევი რუქები, ბროშურა ,,აღმოაჩინე საქართველო“. ეკონომიკურმა სამსახურმა მონაწილეობა მიიღო თელ-ავივის, ვარშავის, ბერლინის, ლონდონის, თბილისის, ბათუმის, ხარკოვის საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობებში, სადაც გაიტანა ქუთაისისა და მთლიანად იმერეთის ტურისტული რესურსების ამსახველი მასალები, გიდ-თარჯიმანთა გადამზადებისათვის ჩატარდა სწავლება 35 ბენეფიციარისათვის.

**უცხოური ინვესტიციების, ბიზნესის ხელშეწყობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების პროგრამის** (დაზუსტებული გეგმა 50,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება-35,3 ათასი ლარი) ფარგლებში შეძენილ იქნა საგამოფენო ინვენტარი (ფანჩატურები, ქოლგები); ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ გამართულ გამოფენებზე დემონსტრირებულ იქნა ქუთაისური პროდუქციის შესაძლებლობები; დაიბეჭდა ქუთაისის ბიზნეს პოტენციალის ამსახველი ბუკლეტები; ჩატარდა ,,თაფლის ფესტივალი“ და საახალწლო გამოფენა-გაყიდვა; ჩატარდა ტრეინინგ - ფესტივალი ,,მცირე ბიზნესის მართვა და შეფასება“.

**გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა – შენახვის** წლიური დაზუსტებული გეგმა შეადგენს 2784,9 ათას ლარს. წლის განმავლობაში დახარჯული 2545,7 ათასი ლარით სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 21 ქუჩას, კაპიტალურად შეკეთდა 48763 კვ. მეტრის ფართის გზის სავალი ნაწილი და 4765 კვ. მეტრი ფართის ტროტუარი.

მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები ჩაუტარდა 40 ქუჩას. აღდგენილ იქნა 19331 კვ.მ ფართის დაზიანებული ასფალტბეტონის საფარი, ასევე შეკეთდა ქალაქის ქუჩების სავალ ნაწილსა და ტროტუარზე 1352 კვ.მ ფართის გრანიტის ქვის ძელაკები და ფილები.

**გარემოს დაცვის** ხარჯების დაზუსტებული გეგმა 3643,0 ათასი ლარი შესრულდა 3259,9 ათასი ლარით, ანუ 89,5%–ით. აქედან, დასუფთავების ღონისძიებებისათვის გამოყოფილი 3386,0 ათასი ლარიდან დაიხარჯა 3065,3 ათასი ლარი, წლის მანძილზე შეძენილ იქნა 7 ერთეული ნაგავშემკრები სატრანსპორტო საშუალება, მათ შორის: 1 ერთეული ,,როტოპრესი“, 3 ერთეული 19 კუბატურის ტევადობის, 2 ერთეული 6,1 კუბატურის ტევადობისა და 1 ერთეული ოპერატიული სატრანსპორტო საშუალებები. ამასთან, შეძენილ

იქნა გალვანიზებული ფოლადის ფურცლებისაგან დამზადებული 545 მოძრავი ნაგვის კონტეინერი. აღსანიშნავია, რომ 2011 წელს გაიზარდა დაგვა-დასუფთავების ფართი 628,1 ათასი კვ.მ.-ით და 199,3 ათასი კვ.მ. - მორწყვა-ჩარეცხვის ფართი. საკანალიზაციო სისტემების მოწყობა–რეაბილიტაციის ღონისძიებების საკასო შესრულებამ შეადგინა 148,2 ათასი ლარი, აღნიშნული თანხის ფარგლებში საკანალიზაციო ქსელი მოეწყო ქალაქის 5 ქუჩაზე. პროფილაქტიკურ–სადეზინფექციო ღონისძიებებისათვის დაიხარჯა 37,6 ათასი ლარი, გეგმის (38,0 ათასი ლარი) 98,9%.

**საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფერო** დაფინანსდა 16025,3 ათასი ლარით, გეგმა (23001,9 ათასი ლარი) შესრულდა 69,7%–ით (ხელშეკრულებების ვადაზე ადრე შეწყვეტისა და ტენდერების განმეორებით ჩატარების გამო) მათ შორის:

**პროგრამა „კორპუსის“** დაზუსტებული გეგმიდან (2326,3 ათასი ლარი) წლის განმავლობაში დახარჯული თანხის -1425,6 ათასი ლარის ფარგლებში აღდგენილია 156 სამგზავრო ლიფტი, ქალაქის მასშტაბით შეკეთებულია 8 მაღლივი საცხოვრებელი ბინის დაზიანებული ზედა ნაწილები (პარაპეტები). შეკეთდა 10 ბინის ფასადი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს გადაეცათ 19448 კვ.მ 165876 ლარის ღირებულების გადასახური მასალა.

**ქალაქის გარეგანათების** დაფინანსების გეგმიდან (2801,1 ათასი ლარი) წლის მანძილზე დახარჯული 2436,1 ათასი ლარის ფარგლებში 189 ობიექტზე განხორციელდა გარეგანათების კაპიტალური სამუშაოები. ქალაქის მასშტაბით მოეწყო 1486 ახალი სანათი წერტილი.

**ღვარსადენების ექსპლუატაციისა და რეაბილიტაციის პროგრამის** გეგმიდან (200,0 ათასი ლარი) წლის განმავლობაში 177,7 ლარი დაიხარჯა, კონკრეტულად, 9 ქუჩაზე აღდგა და მოეწყო ახალი 244მ საერთო სიგრძის ღვარსადენი ქსელი. ასევე, წერეთლისა და ფოთის ქუჩებზე გაიწმინდა და გაიხსნა ღვარსადენის მიმღები კვანძი ე. წ. ,,გალერეა“.

**საგზაო ნიშნების დამონტაჟებისა და მაგისტრალების მონიშვნითი სამუშაოებისათვის** დახარჯული 135,3 ათასი ლარით დ. აღმაშენებლისა და ზ. გამსახურდიას გამზირების გადაკვეთაზე, ასევე ნიკეა-ლომოურის ქუჩების გადაკვეთაზე მოეწყო 2 ახალი შუქნიშანი. ქალაქის მასშტაბით სულ 320 საგზაო ნიშანი დამონტაჟდა.

**მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობის პროგრამიდან** დაიხარჯა 76,3 ათასი ლარი, გეგმა (78,9 ათასი ლარი) დაფინანსებულია 96,7%–ით; წლის განმავლობაში მოეწყო 1 მარტივი ტიპის ( ჰოკეის) მოედანი.

**ქალაქის სკვერების კეთილმოწყობის პროგრამიდან** დაიხარჯა 300,3 ათასი ლარი, აღნიშნული თანხით, შეძენილ იქნა და დამონტაჟდა 150 ცალი ახალი, ხოლო შეკეთდა 70 ცალი ძველი ძელსკამი, ასევე ნიკოლაძის სახელობის სკვერში მოეწყო დეკორატიული ჩანჩქერი და ჩატარდა კეთილმოწყობითი სამუშაოები.

**ქალაქ ქუთაისში დავით აღმაშენებლის გამზირის გამყოფი ზოლის გამწვანებისა და კეთილმოწყობის პროგრამის** ფარგლებში შეძენილ იქნა 300 ერთეული პალმა, დამონტაჟდა სარწყავი სისტემა, მოეწყო სანათი წერტილები და ველობილიკები. პროგრამის გეგმა დაზუსტებულ ბიუჯეტში შედგენს 755,0 ათას ლარს, ხოლო საკასო შესრულება- 622,8 ათას ლარს.

ქალაქ ქუთაისში, ჯავახიშვილისა და ბუხაიძის ქუჩების გადაკვეთაზე მოეწყო და დამონტაჟდა ყინულის საციგურაო მოედანი. სამუშაოები დაფინანსდა 2011 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული **საციგურაო მოედნის მოწყობა-მონტაჟის სამუშაოების პროგრამიდან** 693,9 ათასი ლარით, ანუ ბიუჯეტით დაზუსტებული გეგმის (710,0 ათასი ლარი) 97,7%-ით.

**დასვენების, კულტურისა და რელიგიის** სფეროს ხარჯები 2011 წლის ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების 18,3%-ს შეადგენს. დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 8970,8 ათასი ლარით, საკასო ხარჯი შეადგენს 8795,2 ათას ლარს (98%). მათ შორის:

წლის განმავლობაში **სპორტის სფერო** დაფინანსდა 3738,3 ათასი ლარით, აქედან, ქალაქ ქუთაისის 2011 წლის ბიუჯეტის სპორტული ღონისძიებების პროგრამის მიხედვით გამოყოფილი 502,0 ათასი ლარიდან 487,7 ათასი ლარი დაიხარჯა პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ სხვადასხვა ღონისძიებებისათვის.

წლის განმავლობაში ჩატარდა სულ 14 სპორტული ღიონისძიება, რომლებშიც 168-მა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. ასევე საქართველოს, მსოფლიოს, ევროპისა და საერთაშორისო მასშტაბით ჩატარებულ სხვადასხვა სახის შეჯიბრებებში ქალაქიდან 1835 სპორტსმენი მონაწილეობდა. საქართველოს ჩემპიონატზე, სპორტის სხვადასხვა სახეობებში, ქუთაისელმა სპორტსმენებმა დაიკავეს 57 პირველი, 61 მეორე და 56 მესამე ადგილი. საერთაშორისო და საქართველოს სხვადასხვა რანგის ტურნირებზე ახალგაზრდებმა და კადეტებმა დაიკავეს 36 პირველი, 25 მეორე და 35 მესამე ადგილი. მასობრივი სპორტის პოპულარიზაციისა და განვითარების მიზნით ჩატარდა მსოფლიოს ოლიმპიზმის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება სპორტის სხვადასხვა სახეობაში, ასევე საშობაო ტურნირი მინი ფეხბურთში ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის, რომელშიც მონაწილეობა მიიღო რვა გუნდმა. წლის განმავლობაში გამოვლინდა 15 საუკეთესო სპორტსმენი, 12 საუკეთესო მწვრთნელი და სამი საუკეთესო გუნდი, რომლებზედაც გაიცა ფულადი ჯილდო. სპორტული ღონისძიებების არაფინანსური აქტივების მუხლიდან ქალაქის ნაკრები გუნდებისათვის შეძენილ იქნა სამზოს გუნდისათვის საჭიდაო ლეიბი, სამი ნავი ჯომარდობის ხელშეწყობისათვის და ზოგადად სპორტის განვითარებისათვის სხვა საჭირო ამუნიცია და ინვენტარი.

**ააიპ ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის** 2011 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნა 2651,2 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 100%-ით. დახარჯული 2650,3 ათასი ლარიდან დინამოს სტადიონს, N17 ფილიალს, N15 ფილიალს, ტირის შენობას და ა. შ. ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები 310,2 ათასი ლარის ფარგლებში. სასწავლო საწვრთნო შეკრებებზე დაიხარჯა 90,8 ათასი ლარი, 76,4 ათასი ლარით შეძენილ იქნა კომპიუტერული ტექნიკა, ქალაქის ნაკრები გუნდებისა და

მწვრთნელებისათვის - 36,6 ათასი ლარის სპორტული ფორმები, ფილიალების მატერიალური ბაზის შესავსებად - 24,0 ათასი ლარის სპორტული ინვენტარი, სპორტსმენთა სხვადასხვა შეჯიბრებებზე მივლინებისა და მათი ტრანსპორტირებისათვის 265,5 ლარი დაიხარჯა.

**კულტურის სფეროს** განვითარების მიზნით, ქალაქ ქუთაისის 2011 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული კულტურის ღონისძიებების პროგრამიდან დაიხარჯა 345,7 ათასი ლარი დაზუსტებული გეგმა შეადგენს 428,0 ათას ლარს. წლის მანძილზე პროგრამის შესაბამისად, თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით, მოეწყო შემოქმედთა ნამუშევრების 5 გამოფენა, თეატრალური ხელოვნების პოპულარიზაციისა და განვითარებისათვის დაფინანსდა 4 საგასტროლო სპექტაკლი, მუსიკალური ხელოვნების, ფოლკლორისა და ეთნო მუსიკის ხელშეწყობის მიზნით ჩატარდა შვიდი კლასიკური მუსიკალური კონცერტი. კულტურის, სპორტის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახლაგაზრდულ საქმეთა სამსახურმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქალაქში ლიტერატურის სფეროს განვითარებას, პოპულარიზაციასა და ინოვაციების მხარდაჭერას, დაფინანსდა ოცამდე ლიტერატურული ღონისძიება, გამოიცა ლიტერატურული ნაშრომები, წიგნები ჟურნალები და ალმანახები.

გაუთვალისწინებელი კულტურული ღონისძიებისათვის 46590 ლარით დაფინანსდა რამდენიმე კულტურული პროექტი, მათ შორის გამოფენები, საქველმოქმედო კონცერტები და ფოტო კონკურსი.

**ააიპ ქალაქ ქუთაისის კულტურულ სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებაში** შემავალი სამუსიკო სასწავლებლების მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს როგორც ქვეყნის, ასევე საერთაშორისო მასშტაბით გამართულ კონკურსებში, სადაც წარგზავნილმა მოსწავლეებმა საუკეთესო შედეგები აჩვენეს. წლის განმავლობაში ხდებოდა წარმატებული პედაგოგებისა და ბავშვების წახალისება, დაფინანსდა საერთაშორისო კონკურსებში მონაწილე ბავშვები.

გაერთიანებაში შემავალ 4 მუზეუმსა და გალერეაში წლის განმავლობაში ჩატარდა 140-მდე ლექცია-საუბრები, 30 ღონისძიება, 19 გამოფენა, დ. კაკაბაძის სახელობის სახვითი ხელოვნების გალერეისათვის შძენილ იქნა 3 ნამუშევარი, ხოლო მუზეუმებისათვის 59 ექსპონატი. დამთვალიერებელთა საერთო რაოდენობა იყო დაახლოებით 5000-მდე, მათ შორის იყვნენ როგორც ინდივიდუალური ასევე ჯგუფური და ტურისტული დამთვალიერებლები.

წლის განმავლობაში გამოცხადებული ტენდერების შესაბამისად გარემონტდა ააიპ-ის ოფისი, შეიცვალა ფანჯრები 2 სამუსიკო სკოლაში, სრულად გადაიხურა 4 სამუსიკო სკოლის სახურავი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით შეძენილ იქნა კომპიუტერული ტექნიკა. ააიპ-ის წლიური დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1670,3 ათას ლარს, საკასო ხარჯი-1631,1 ათასი ლარი, დაფინანსდა გეგმის 97,7%.

**განათლების ღონისძიებებისათვის** 2011 წლის ბიუჯეტში გამოყოფილი 131,5 ათასი ლარიდან დაიხარჯა 110,0 ათასი ლარი. 2011 წლის ბიუჯეტის განათლების ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში

განხორციელდა ყველა დაგეგმილი ღონისძიება, გასული წლის ზაფხულში სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელთათვის და საჯარო სკოლების მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის მოეწყო საზაფხულო გამაჯანსაღებელი ბანაკი კურორტ ბაკურიანსა და კურორტ ქობულეთში. გასული წლის მაისში დაიწყო საჯარო სკოლების მოსწავლეთა თეატრალური ფესტივალი, რომელიც გაგრძელდება მომდევნო წელსაც. წლის განმავლობაში ჯილდო გადაეცათ ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის დასკვნით ტურსა და საერთაშორისო ოლიმპიადებში გამარჯვებულ მოსწავლეებას და მათ პედაგოგებს.

**ააიპ ბაგა-ბაღების გაერთიანების** მიერ დახარჯული 4482,5 ათასი ლარით ააიპ-ის ფილიალებს ჩაუტარდათ სარემონტო სამუშაოები, მოწესრიგდა სველი წერტილები, შეძენილ იქნა ახალი ინვენტარი. აღსაზრდელთა კვება გახდა ორჯერადი და ამაღლდა კვების ხარისხი.

ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის, ახალგაზრდების შემოქმედების პოპულარიზაციის, სოციალურად დაუცველი ახალგაზრდების მხარდაჭერისა და პატრიოტული სულისკვეთების ამაღლების მიზნით 2011 წლის ბიუჯეტის **ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამის** ფარგლებში 238,7 ათასი ლარით (დაზუსტებული გეგმა -240,0 ათასი ლარი) დაფინანსდა (99,5%) სხვადასხვა სახის ღონისძიებები, კერძოდ: წლის განმავლობაში 4-ჯერ გაიმართა ინტელექტუალური თამაში ,,რა? სად? როდის?“; მოეწყო 5 მუსიკალური ფესტივალი; ჩატარდა 15 ახალგაზრდული გასართობი კონცერტი; წლის განმავლობაში 2-ჯერ მოეწყო ნამუშევრების გამოფენა; გაიმართა ახალგაზრდული შეკრებები, მოეწყო პოეზიის საღამოები და სპექტაკლები; წლის მანძილზე გაიმართა 2 წიგნის პრეზენტაცია; განხორციელდა 5 ახალგაზრდული ინიციატივების პროექტი და წლის ბოლოს გაიმართა საახალწლო კარნავალი.

**სოციალური მომსახურებისა და ჯანმრთელობის დაცვის** ხარჯები დაფინანსდა 92,9%–ით, წლიური გეგმა შეადგენს 1788,0 ათას ლარს, საკასო შესრულება – 1661,3 ათას ლარს, მათ შორის:

**საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამის** (დაზუსტებული გეგმა-116,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება-101,1 ათასი ლარი) ფარგლებში გასული წელს ჩატარდა ეპიდზედამხედველობის მონიტორინგი სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში, რაც ითვალისწინებს ინფექციური დაავადებების აღრიცხვის, რეგისტრაციისა და დროულობის შემოწმებას. ჩატარდა მრავალშვილიანი ოჯახების გამოკვლევა ჰელმინთებზე. შესაბამისად განხორციელდა მკურნალობა და უფასო მედიკამენტების გადაცემა, პარაზიტულ და ინფექციურ დაავადებათა პრევენციის მიზნით ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღებში ჩატარდა მონიტორინგი და ბავშვების გამოკვლევა, შესაბამისად ჩაუტარდათ მკურნალობა და გაეწიათ კონსულტაციები. განხორციელდა ქალაქის ტერიტორიაზე არსებული მოუწესრიგებელი სარდაფებისა და გარე წყალსატევების გეგმა-გრაფიკის შედგენა და შესაბამისად ჩატარდა საზონიფიკაციო სამუშაოები.

**მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის** საკასო ხარჯი შეადგენს 54,8 ათას ლარს. წლის მანძილზე დაგეგმილი 60,5 ათასი ლარის ფარგლებში განხორციელდა უფასო მედიკამენტების ვაუჩერის გაცემა 705 ბენეფიციარზე, ვაუჩერების ჯამური ღირებულება შეადგენს 59600 ლარს, ხოლო შესრულებული სამუშაოს მიხედვით ანაზღაურებულია 54776,09 ლარი.

**სამედიცინო დახმარების პროგრამის** შესაბამისად, წლიური დაზუსტებული გეგმიდან (310,0 ათასი ლარი) დახარჯულია 98,3%, კერძოდ 304,7 ათასი ლარის ფარგლებში, სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურებაზე დახმარება გაეწია 648 პაციენტს, ქირურგიული მკურნალობა ჩაუტარდა 275 -ს, თერაპიული მკურნალობა - 61-ს, კორონაროგრაფიული და კარდიოქირურგიული მკურნალობა - 38-ს, ონკოლოგიური პროფილით მკურნალობა -89-ს; თვალზე ოპერაცია გაუკეთდა 48-ს.

**სამედიცინო დაზღვევის პროგრამის** შესაბამისად დაზღვეულია ქალაქ ქუთაისის სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებული 976 თანამშრომელი და ასევე ქალაქ ქუთაისის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 84 თანამშრომელი. წლის მანძილზე ანაზღაურებულია 88,6 ათასი ლარი, რაც წლიური დაზუსტებული გეგმის (96,9 ათასი ლარი) 91,4%-ს შეადგენს.

**ვეტერანთა სარიტუალო დახმარების პროგრამა** გათვლილი იყო 80 ვეტერანთა გარდაცვალების შემთხვევაზე. წლის განმავლობაში დახმარება გაეწია 30 გარდაცვლილ ვეტერანთა ოჯახებს. დახმარების მთლიანი ღირებულება შეადგენს 9,0 ათას ლარს.

**მიცვალებულთა დასაფლავების პროგრამიდან** დაიხარჯა 15,7 ათასი ლარი (წლიური გეგმა-30,0 ათასი ლარი), აქედან გარდაცვლილ ლტოლვილთა 43 შემთხვევაზე დაიხარჯა 12,9 ათასი ლარი, ხოლო უპატრონო მიცვალებულთა 14 შემთხვევაზე - 2,8 ათასი ლარი.

**მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამის** ფარგლებში (წლიური გეგმა -150,0 ათასი ლარი, საკასო სესრულება 149,1 ათასი ლარი) 220 მრავალშვილიან ოჯახზე, რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი შვილი, გაიცა ფულადი დახმარება 132,0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო მე-4 შვილისა და ყოველი შემდეგი შვილის შეძენისას ფულადი დახმარება გაეწია 35 ოჯახს, 17,1 ათასი ლარის ოდენობით.

**სოციალური ღონისძიებების პროგრამით** გათვალისწინებულ დღესასწაულებთან დაკავშირებით განხორციელდა სურსათით და სხვა სახით ბენეფიციარებზე დახმარების გაწევა, ასევე მოეწყო საზაფხულო დასვენება-რეაბილიტაცია საქართველოს სხვადასხვა კურორტზე (ურეკი, ციხისძირი, ქვიშხეთი)

**უფასო მგზავრობის უზრუნველყოფის პროგრამით** სარგებლობს 989 ბენეფიციარი, პროგრამის წლიური დაზუსტებული გეგმა შეადგენს 97,0 ათას ლარს, საკასო შესრულება-93,2 ათასი ლარი(96,1%).

**მატერიალური დახმარების პროგრამის** ფარგლებში ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია 844 ბენეფიციარს, წლის მანძილზე დაიხარჯა 141,4 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის(143,5 ათასი ლარი) 98,5%-ს შეადგენს.

**უფასო კვების პროგრამიდან** დაიხარჯა 489,8 ათასი ლარი განსაკუთრებით გაჭირვებული და უმწეო 650 პირის ყოველდღიურად (კვირის გარდა), ერთჯერადი სადილით უზრუნველყოფისათვის. პროგრამის ბიუჯეტით განსაზღვრული გეგმა 490,5 ათასი ლარი დაფინანსდა 99,9%-ით.

მიუხედავად, იმისა, რომ სოციალური და ჯანდაცვის ღონისძიებების უმეტეს წილს ცენტრალური ბიუჯეტი აფინანსებს, ქალაქ ქუთაისის თვითმმართველობის მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებში მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესება ქალაქის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

სოციალური მომსახურებისა და ჯანმრთელობის დაცვის  დაფინანსება 2011 წლის ბიუჯეტში გასულ 2009-2010 წლებთან შედარებით გაზრდილია. 2009 წელს სოციალური და ჯანდაცვის სფეროს ხარჯმა შეადგინა 1442,1 ათასი ლარი, 2010 წელს-1615,0 ათასი ლარი, ხოლო 2011 წელს - 1661,3 ათასი ლარი.




ქალაქ ქუთაისის მერი　　　　　　　　　　გ. თევდორაძე